საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2021

IV კვარტალი

16.02.2022

www.geostat.ge

16.02.2022

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2021 წლის IV კვარტალი)

სასაკლაოები

2021 წლის IV კვარტალში საქართველოში 105 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 20.0 პროცენტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, 18.1 პროცენტი - კახეთის რეგიონში, 13.3 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონში, 13.3 პროცენტი - იმერეთის რეგიონში, 11.4 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 23.8 პროცენტი - სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალი



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალში სასაკლაოებში დაიკლა 101.9 ათასი სული პირუტყვი, საიდანაც 34.6 პროცენტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 41.9 პროცენტი - ღორი, ხოლო 11.0 პროცენტი ცხვარი და თხა იყო. დანარჩენი პირუტყვის წილი (არ მოიცავს ფრინველს) 12.5 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 3 217.4 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2021 წლის IV კვარტალში 11 908.4 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 33.1 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 41.0 პროცენტი - ფრინველის ხორცზე, 24.3 პროცენტი - ღორის ხორცზე, 1.4 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 7.6 ათას პირს, საიდანაც 39.8 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 971 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 31.5 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლის საფასური - 15.1 ლარი, ხოლო ღორის დაკვლის საფასური - 27.7 ლარი.

სამაცივრე მეურნეობები

2021 წლის IV კვარტალში საქართველოში 142 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც (64.1 პროცენტი) შიდა ქართლის რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქ. თბილისში (9.2 პროცენტი), ქვემო ქართლის რეგიონში (6.3 პროცენტი), კახეთის რეგიონში (6.3 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (4.9 პროცენტი), აჭარის ა.რ.-ში (4.9 პროცენტი), იმერეთის რეგიონში (2.1 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (1.4 პროცენტი) და გურიის რეგიონში (0.7 პროცენტი):

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალი



16.02.2022

2021 წლის IV კვარტალში მომსახურება გაეწია 261 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით - 376 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1 064 კაცით განისაზღვრა.

2021 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 59.2 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 49.8 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 23.8 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 14.0 პროცენტი ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 8.0 პროცენტი თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა,
2021 წლის IV კვარტალი



2021 წლის IV კვარტალში სამაცივრე მეურნეობებში შენახული პროდუქციის მთლიანი მოცულობიდან 20.8 პროცენტს საკუთარი წარმოების პროდუქცია, 17.1 პროცენტს შემდგომი რეალიზაციის მიზნით შესყიდული პროდუქციის მოცულობა, ხოლო 62.1 პროცენტს მომსახურების სახით შენახული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა. ამავე პერიოდში, მომსახურების სახით მიღებულმა შემოსავალმა 5.0 მლნ. ლარი შეადგინა.

2021 წლის IV კვარტალში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 64.5 მლნ. ლარის ღირებულების (11.8 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც, ღირებულებით გამოსახულებაში,

იმპორტირებულმა პროდუქციამ შეადგინა 32.2 პროცენტი, საკუთარი წარმოების პროდუქციამ - 46.3 პროცენტი, ხოლო შესყიდულმა (ადგილობრივი) პროდუქციამ - 21.5 პროცენტი. ამასთან, საანგარიშო პერიოდში, სამაცივრეების მიერ გაყიდული საკუთარი წარმოების პროდუქციის მთლიანი მოცულობის 81.0 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (49.0 პროცენტი), პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (28.9 პროცენტი) და თევზეული (11.4 პროცენტი) წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში, სამაცივრე მეურნეობების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 3.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც ამავე პერიოდში გაყიდული პროდუქციის მთლიანი ღირებულების 5.4 პროცენტს შეადგენს. ძირითადად რეალიზებულია ქათმის ხორცი, ხილი და ბოსტნეული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 60.2 პროცენტს, ნოემბერში - 60.1 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 57.1 პროცენტს.

2021 წლის IV კვარტალში საქართველოში 40 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც კახეთის (45.0 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 25.0 პროცენტი ფუნქციონირებს ქვემო ქართლის რეგიონში, 10.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 5.0 პროცენტი - შიდა ქართლის რეგიონში, 5.0 პროცენტი - ქ. თბილისში, 5.0 პროცენტი - იმერეთის რეგიონში, 2.5 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და 2.5 პროცენტი - გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალი



2021 წლის IV კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 5 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია შემდგომი რეალიზაციის მიზნით - 135 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 700 კაცით განისაზღვრა.

2021 წლის IV კვარტალში, ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 106.9 ათასი

ტონა პროდუქცია, რომლის 67.0 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი. საანგარიშო პერიოდში, ელევატორებში განთავსებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის 89.7 პროცენტს ელევატორების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით შესყიდული პროდუქცია შეადგენდა.

2021 წლის IV კვარტალში, ელევატორების მიერ გაყიდულია 99.8 მლნ. ლარის ღირებულების 81.0 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 57.7 პროცენტი იყო საკუთარი წარმოების.

ელევატორების მიერ საკუთარი წარმოების პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული საკუთარი წარმოების პროდუქციის 81.7 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 38.5 პროცენტს, ნოემბერში - 39.2 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 37.4 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge